

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“

საქართველოს კანონის პროექტზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და პარლამენტის კომიტეტების რეკომენდაციების მატრიცა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დასკვნები/რეკომენდაციები ეხება არა მხოლოდ წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტს და თანდართულ მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვას, არამედ ასევე ითვალისწინებს კონკრეტულ უწყებებში ჩატარებული აუდიტის შედეგების ანალიზის შესაბამისი უწყებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით. ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილი მიგნებები და რეკომენდაციები ასახავს საჯარო სამსახურთან დაკავშირებული საკითხების უფრო ფართო სურათს და არა მხოლოდ საჯარო ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებს. მსგავს დასკვნებთან და რეკომენდაციებთან მიმართებაში მიზანშეწონილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან შემდგომი მჭიდრო თანამშრომლობა გაგრძელდეს შესაბამისი დარგობრივი სამინისტროების მიერ, შესაბამისად ყველა მათგანის განხილვა ბიუჯეტის პროექტის განხილვის კონტექსტში შესაძლოა ნაკლებად პროდუქტიული აღმოჩნდეს.

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>სახელმწიფო აუდიტის სამსახური</p> <p>აღსანიშნავია, რომ 2017-2020 წლების BDD-ით (გადამუშავებული ვარიანტი) განსაზღვრულ ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით განსხვავებული სცენარია პროგნოზირებული საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) პროგნოზით, 2016 წელს მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდის ტემპი 3.4%¹-ს შეადგენს და 0.4 პროცენტული პუნქტით აღემატება BDD-ით (გადამუშავებული ვარიანტი) განსაზღვრულ მაჩვენებელს. რაც შეეხება 2017 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს, იგი 5.2%-ს შეადგენს და 1.2 პროცენტული პუნქტით აჭარბებს 2017-2020 წლების BDD-ში (გადამუშავებული ვარიანტი) წარმოდგენილ მაჩვენებელს. განსხვავებულია ასევე მსოფლიო ბანკის (WB) პროგნოზიც, რომელიც 4.5%-ს შეადგენს და 0.5 პროცენტული პუნქტით აღემატება ოფიციალურ პროგნოზს (BDD). აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ გამოქვეყნებული პროგნოზების² მიხედვით კი მიმდინარე წლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 3.0%-ს, ხოლო დასაგეგმ წელს 4.0%-ს შეადგენს, რაც ემთხვევა BDD-ის გადამუშავებული ვარიანტით წარმოდგენილ მონაცემებს.</p>	<p>საქართველო აკეთებს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის საკუთარ შეფასებას და მიუხედავად იმისა, რომ ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, არ ახდენს მათი პროგნოზების მექანიკურ კოპირებას, მით უმეტეს რომ ეს პროგნოზები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. გასათვალისწინებელია ასევე, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მსოფლიოს ეკონომიკური მიმოხილვა (და მასთან ერთად, საქართველოს ეკონომიკური ზრდის განახლებული პროგნოზი) გამოაქვეყნა მას შემდეგ, რაც ბიუჯეტი გაგზავნილ იქნა საქართველოს პარლამენტში განსახილველად. სავალუტო ფონდმა გადახედა თავის პროგნოზს და საქართველოსთვის 2017 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი განსაზღვრა 4% დონეზე.</p>
<p>2016 და 2017 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების პროექტებით განსაზღვრული გადასახდელების არანაკლებ 20% მიმართული უნდა იყოს საინვესტიციო/ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. თუმცა, არც აღნიშნული განკარგულებით და არც სხვა ნორმატიული აქტით განსაზღვრული არ არის თუ რა შეიძლება ჩაითვალოს საინვესტიციო/ინფრასტრუქტურული ხასიათის პროექტად და შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით გაწეულ გადასახდელად. გამომდინარე აქედან,</p>	<p>ბიუჯეტის პროექტის განახლებული ვარიანტის მიხედვით ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გათვალისწინებული თანხები ჯამში შეადგენს 2 330,0 მლნ ლარს, რაც გადასახდელების მთლიანი გეგმის 20%-ს შეადგენს.</p>

¹ წყარო: IMF (2016), World Economic Outlook Database, October, გვ.45
² წყარო: ADB (2016), Asian Development Outlook, Update, September, გვ.22

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>მწვანე იმის გარკვევა, აკმაყოფილებს თუ არა წარმოდგენილი 2017 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი ზემოხსენებულ მოთხოვნას, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ წარმოდგენილ კანონპროექტში არაფერია ნათქვამი აღნიშნულ ლიმიტთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშებაში, გაითვალისწინება „ფინანსური“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებისა და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში გამოყოფილი გადასახდელები, რაც 2017 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტისათვის 1,568 მლნ ლარს შეადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო ოდენობა 10,555 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა, საინვესტიციო/ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად მიიმართება დაახლოებით 14.9%, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება მთავრობის განკარგულებით დადგენილ ლიმიტს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის ბიუჯეტის კანონპროექტზე თანდართულ „ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების“ დოკუმენტში მთავრობის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციების საპროგნოზო მაჩვენებლად მითითებულია 1,680 მლნ ლარი, რაც ბიუჯეტის გადასახდელების 15.9%-ს შეადგენს.</p>	
<p>„ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია მაკროეკონომიკური განვითარების ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები და თითოეული სცენარის განვითარების შემთხვევაში, ფისკალური პოლიტიკის შესაბამისი პასუხები. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში ბიუჯეტის დეფიციტი წარმოდგენილია საჯარო ფინანსების სტატისტიკის მეთოდოლოგიის (GFSM) 1986 წლის სტანდარტის მიხედვით, მაშინ როდესაც საქართველოს კანონმდებლობა ბიუჯეტის დეფიციტს განსაზღვრავს, როგორც ბიუჯეტის მთლიან სალდოს (GFSM 2001 მეთოდოლოგიის მიხედვით) და საკანონმდებლო დონეზე³ განსაზღვრული ბიუჯეტის დეფიციტის მაქსიმალური დასაშვები ლიმიტიც (3.0% მშპ-თან მიმართებაში) გაიანგარიშება GFSM 2001 მეთოდოლოგიის მიხედვით. აღნიშნული კი მნიშვნელოვნად განსხვავდება GFSM 1986-ით დათვლილი დეფიციტის მოცულობისაგან. შედეგად, დამატებით დასაბუთებასა და განმარტებებს საჭიროებს „ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში დეფიციტის განსხვავებული მიდგომით წარმოდგენა.</p> <p>ასევე, დამატებით დასაბუთებასა და არგუმენტაციას საჭიროებს დოკუმენტში წარმოდგენილი პოზიტიური და ნეგატიური ფაქტორების შესახებ ინფორმაცია. მაგალითად, ერთ-ერთ პოზიტიურ ფაქტორად დასახელებულია მთავრობის მიერ საინვესტიციო პროექტების დაჩქარება. თეორიულად მოცემულ ფაქტორს ნამდვილად დადებითი ზეგავლენა ექნება ქვეყნის ეკონომიკაზე. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ</p>	<p>მაკროეკონომიკური პროგნოზების სცენარებში მოცემული ნაერთი ბიუჯეტის ცხრილებში, ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლები მოცემულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული შეთანხმების მიხედვით ფონდის პროგრამაში ბიუჯეტის დეფიციტი იანგარიშება GFSM1986 კლასიფიკაციით. აღნიშნული კლასიფიკაციით ბიუჯეტის დეფიციტის გაანგარიშება და გამოქვეყნება იძლევა დამატებით ინფორმაციას და მრავალმხრივი ანალიზის შესაძლებლობას.</p> <p>დოკუმენტი არ მოიცავს პოზიტიური და ნეგატიური ფაქტორების მოხდენის ალბათობის სიდიდის გაანგარიშებას. აქ ნაჩვენებია ყველა ის პოზიტიური და ნეგატიური ფაქტორი, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების საბაზისო სცენარიდან გადახრა. ყველა ფაქტორის მოხდენის ალბათობა სხვადასხვაა. ასევე, სხვადასხვა იქნება ცალკეული ფაქტორის გავლენა</p>

³ საქართველოს ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“;

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>საინვესტიციო პროექტების განხორციელების მხრივ, უკანასკნელ პერიოდში, შეინიშნებოდა სისტემური ხასიათის ხარვეზები, აღნიშნული ფაქტორის რეალიზაციით დადებითი ეფექტების მიღების ალბათობა დამატებით დასაბუთებას საჭიროებს. ამასთანავე, ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობის ზრდას დოკუმენტი განიხილავს, როგორც პოზიტიურ ფაქტორს, თუმცა ამავე დოკუმენტში ნაგარაუდევია, რომ დიდი ბრიტანეთის გადაწყვეტილება დატოვოს ევროკავშირი, უარყოფითად აისახება ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკაზე და შეამცირებს ამ ქვეყნების ერთობლივ მოთხოვნას, რაც თავის მხრივ ნეგატიურად იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკაზე. იმის გათვალისწინებით, რომ 2014 წელს ევროკავშირთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების (DCFTA) სრული მატერიალიზება ჯერ კიდევ არ განხორციელებულა და ვინაიდან, საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის შენელება⁴. ბუნდოვანი ხდება და დამატებით დასაბუთებას საჭიროებს ზემოაღნიშნული მაკროეკონომიკური ფაქტორის გავლენა საქართველოს ფისკალურ სექტორზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ თითოეული პოზიტიური თუ ნეგატიური ფაქტორის ზეგავლენა არ ატარებდეს ზოგად, თეორიულ ხასიათს და გამყარებული იყოს შესაბამისი რაოდენობრივი მახასიათებლებით, რაც გამყარებდა განხილული სცენარების რეალისტურობას და გაზრდიდა დოკუმენტის სანდოობის ხარისხს.</p>	<p>ეკონომიკურ განვითარებაზე. თუ მაკროეკონომიკური პროგნოზი გაკეთდება ყველა ნეგატიური და პოზიტიური ფაქტორისთვის ცალ-ცალკე, მაშინ სცენარების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება, დოკუმენტი გახდება გადატვირთული და მწელად გასაგები, რაც არ არის რეკომენდირებული საერთაშორისო პრაქტიკით. კარგი საერთაშორისო პრაქტიკა ითვალისწინებს სამი მაკროეკონომიკური სცენარის გაკეთებას: საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური. კარგი პრაქტიკა ასევე გულისხმობს ყველა მაკროეკონომიკური რისკ ფაქტორის შესაძლო იდენტიფიცირებას, მიუხედავად იმისა, რამდენია მათი მოხდენის ალბათობა და რა გავლენა ექნება ქვეყნის განვითარებაზე. ასევე რეკომენდირებულია რისკ ფაქტორები განხილულ იყოს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და არ იყოს დაჯგუფებული და დაჯამებული მათი მახასიათებლების მიხედვით.</p>
<p>2017 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტს თან ერთვის ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული „მთავრობის ვალის⁵ მდგრადობის ანალიზის“ დოკუმენტი. მოცემული დოკუმენტით გაანალიზებულია მთავრობის ვალის მდგრადობა საშუალოვადიან პერიოდში (2016-2020 წლებში), როგორც საბაზისო სცენართან მიმართებაში, ასევე სხვადასხვა მაკროეკონომიკური შოკების გათვალისწინებით. ანალიზის პროცესში გამოყენებული მოდელი ეფუძნება დაბალმემოსავლიანი ქვეყნებისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შექმნილ სახელმწიფო ვალის მდგრადობის მოდელს. ანალიზის პროცესში განხილულია პირველადი დეფიციტისა და რეალური საპროცენტო განაკვეთის პერმანენტული (საშუალოვადიანი პერიოდისათვის), ხოლო რეალური მშპ-ის ზრდისა და ნომინალური გაცვლითი კურსის ერთჯერადი შოკების ეფექტი მთავრობის ვალის მდგრადობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ანალიზში განხილულ მაკროეკონომიკურ ცვლადებში ეგზოგენური ცვლილების ალბათობა ერთობლივად რამდენიმე ცვლადისათვის საკმაოდ მაღალი შეიძლება იყოს, მიზანშეწონილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მოდელის მსგავსად, მდგრადობის ანალიზი განიხილავდეს ოთხივე</p>	<p>გათვალისწინებულია. წარმოდგენილი კანონპროექტის დანართი „ვალის მდგრადობის ანალიზის“ დოკუმენტი ითვალისწინებს კომბინირებული შოკების გავლენას ვალის მდგრადობაზე.</p>

⁴ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 2016 წლის ოქტომბერში გაკეთებული პროგნოზებით ევროკავშირში 2016 წელს მოსალოდნელია 1.7%-იანი, ხოლო 2017 წელს კი 1.5%-იანი ეკონომიკური ზრდა.

⁵ მოიცავს ცენტრალური მთავრობისა და ეროვნული ბანკის ვალს.

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>მაკროეკონომიკური ცვლადის, როგორც ინდივიდუალური, ასევე კომბინირებული შოკების ზეგავლენას ვალის მდგრადობაზე.</p> <p>აღსანიშნავია, რომ 2017 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტით, საშემოსავლო გადასახადის გეგმური მაჩვენებელი 353 მლნ ლარით (16.9%-ით) იზრდება და 2,439 მლნ ლარის დონეზეა პროგნოზირებული. საყურადღებოა, რომ აღნიშნული ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება ბოლო წლების განმავლობაში დაფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადიდან მობილიზებული შემოსულობების ზრდის ტემპებს. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ მომავალი წლის ნომინალური მშპ-ის ზრდის ტემპის პროგნოზირებულ მაჩვენებელსა და იმ გარემოებას, რომ საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით, 2016 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო გადასახადის გარკვეული სახეობებიდან მიღებული შემოსულობები სრულად მიიმართება მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, 2017 წლისათვის დაგეგმილი საშემოსავლო გადასახადის მნიშვნელოვნად გაზრდილი მოცულობა დამატებით დასაბუთებასა და განმარტებას საჭიროებს. ასევე აღსანიშნავია, რომ საგრძნობლად იზრდება იმპორტის გადასახადის სახით დაგეგმილი შემოსავლების მოცულობა. კერძოდ, 2016 წლის გეგმურ მაჩვენებელთან მიმართებაში იმპორტის გადასახადის სახით მისაღები შემოსავლების ზრდის ტემპი 14.7%-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება გასულ წლებში დაფიქსირებული ზრდის ტემპის მაჩვენებლებს. საყურადღებოა აგრეთვე, რომ 2017 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართულ „ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების“ დოკუმენტის მიხედვით, 2017 წლისათვის მოსალოდნელი იმპორტის მოცულობის ზრდის ტემპი 8.1%-ის დონეზეა განსაზღვრული. რამდენადაც, პროგნოზირების მოდელის დაშვებით, იმპორტის გადასახადის სახით მისაღებ შემოსავალსა და იმპორტის მოცულობას შორის ელასტიურობის კოეფიციენტი განსაზღვრულია 1 ერთეულის ოდენობით, დამატებით დასაბუთებასა და განმარტებას საჭიროებს, ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მოცულობა.</p>	<p>2017 წლის საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი დაგეგმილია მიმდინარე წლის საშემოსავლო გადასახადის ფაქტიური და მოსალოდნელი წლიური მაჩვენებლიდან და არა გეგმიური მაჩვენებლიდან. შესაბამისად, 2017 წლის საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი გაანგარიშებულია მიმდინარე წლის მოსალოდნელი მაჩვენებლის, 2017 წლის ეკონომიკური ზრდის და ინფლაციის გათვალისწინებით. რაც შეეხება 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო გადასახადის მაღალი ზრდის ტემპს, გაცნობებთ, რომ 2016 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო გადასახადის გარკვეული სახეობებიდან მიღებული შემოსავლები სრულად მიიმართება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რაც სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული თანხების შემცირებას და შესაბამისად ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდას იწვევს. თუმცა მიმდინარე წელს, სახაზინო კოდექსის გაერთიანების შედეგად, აღნიშნული სახეობებიდან მუნიციპალურ ბიუჯეტში ფაქტიურად შემოსული თანხები დაგეგმილ თანხებზე ნაკლებია (ქონების გადასახადი დაგეგმილზე მეტია), შედეგად გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის მოცულობა, რაც 2017 წლის პროგნოზში აისახა. გარდა ამისა, აღსანიშნავია რომ სახაზინო კოდექსის გაერთიანების გამო, გადასახადები შესაბამის სახეში აისახება დეკლარაციების წარდგენის შემდგომ, რის გამოც 2016 წლის იანვარში საშემოსავლო გადასახადის მოცულობა მცირე იყო (აისახა სხვა გადასახადებში). 2017 წლის იანვარში კი საშემოსავლო გადასახადში აისახება 2016 წლის დეკემბერში გადახდილი საშემოსავლო გადასახადი, რაც წლევანდელ ფაქტიურ მაჩვენებელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდის ამ კონკრეტული სახის გადასახადის მოცულობას</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	<p>მაკროსტრუქტურაში იმპორტის ზრდა ნაჩვენებია აშშ დოლარებში, საბაჟო გადასახადის გადახდევინება კი ხდება ლარებში, რის გამოც იმპორტის ზრდა და საბიუჯეტო შემოსავლები არ იზრდება ერთნაირი პროცენტით. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მთლიანი იმპორტი და დასაბეგრი იმპორტი იზრდება სხვადასვა პროცენტით, რაც ასევე გავლენას ახდენს შემოსავლებზე. იმპორტის გადასახადის შემთხვევაშიც მისი გაანგარიშება ხდება მოსალოდნელი მაჩვენებლიდან და არა დაგეგმილი ოდენობიდან. გასათვალისწინებელია ასევე, რომ იმპორტის დაბეგრიდან ბიუჯეტში მიიღება მცირე თანხები, რასაც უმნიშვნელო გავლენა აქვს შემოსავლების საერთო მოცულობაზე.</p> <p>წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი დაკორექტირდა.</p>
<p>აღსანიშნავია, დივიდენდების სახით მისაღები შემოსავლების მობილიზების საკითხი. კერძოდ, აღნიშნული მუხლით მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით მობილიზებული რესურსის ოდენობამ 217.3 ათასი ლარი და წლიური გეგმის (2.5 მლნ ლარი) მხოლოდ 8.7% შეადგინა. ანალოგიური ტენდენცია ფიქსირდებოდა 2014 და 2015 წლების განმავლობაშიც (მობილიზებული დივიდენდების ოდენობამ წლიური გეგმის მხოლოდ 0.4% და 8.3% შეადგინა, შესაბამისად). თუ გავითვალისწინებთ უკანასკნელი წლების განმავლობაში დივიდენდების სახით შემოსავლების მობილიზებასთან დაკავშირებულ სირთულეებს, ასევე იმ ფაქტს, რომ დივიდენდების საპროგნოზო მაჩვენებლის დაგეგმვა კომისიასთან⁶ შეთანხმების გარეშე ხორციელდება, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, საჭიროა დამატებითი ყურადღების გამახვილება როგორც დივიდენდების საპროგნოზო მაჩვენებლის განსაზღვრის, ისე საბიუჯეტო წლის განმავლობაში მისი მობილიზების უზრუნველყოფის მიმართულებით.</p>	<p>დივიდენდების საპროგნოზო მაჩვენებლების დაგეგმვა ხდება გასული წლების გამოცდილების და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე. იმის გამო, რომ კომისიის ჩატარების თარიღი წინასწარ არ არის განსაზღვრული, ხშირ შემთხვევაში საპროგნოზო მაჩვენებლების განსაზღვრა წინ უსწრებს კომისიის ჩატარებას. შედეგად კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები წინასწარ ვერ იქნება გათვალისწინებული საპროგნოზო მაჩვენებლის დაგეგმვისას.</p>
<p>წარმოდგენილი ბიუჯეტის კანონპროექტით, „შრომის ანაზღაურების“ მუხლზე გამოყოფილი სახსრების ოდენობამ 1,442.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც მცირედით (0.5 მლნ ლარი) ჩამორჩება 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს და 66.5 მლნ ლარით აღემატება 2015 წელს ამ მიმართულებით გახარჯული საბიუჯეტო რესურსის მოცულობას.</p>	<p>პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში შრომის ანაზღაურების ფონდი მცირდება 50,0 მლნ ლარამდე. გარდა ამისა, პროექტის მიხედვით სამინისტროებს დამატებით ევალებათ წლის განმავლობაში ადმინისტრაციული ხარჯები, რომლის ფარგლებში ასევე განხორციელდება საშტატო ერთეულების ოპრიმიზაცია.</p>

⁶ „სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები“ კომისია.

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მომავალი წლის საშტატო რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების ფონდის დაგეგმვის პროცესში არ ხდება უწყებაში ფაქტიურად შტატით დასაქმებულ მომუშავეთა ოდენობის გასული და მიმდინარე წლების მაჩვენებლების გათვალისწინება და გეგმური საშტატო რიცხოვნობის რეალური მაჩვენებლის განსაზღვრა. აღნიშნულის შედეგად კი, ზოგიერთ საჯარო უწყებაში წლის განმავლობაში რეალურად დასაქმებულ მომუშავეთა რიცხოვნობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრულ ოდენობას, რის გამოც, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები ცალკეულ შემთხვევებში, ან აუთვისებელი რჩება ან ნაწილდება თანამშრომლებზე სხვადასხვა ტიპის მატერიალური წახალისების სახით, რაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით არ შეიძლება მისაღებ პრაქტიკად⁷ ჩაითვალოს.</p> <p>ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან მოხდეს გასული და მიმდინარე წლების მაჩვენებლების გათვალისწინება და საშტატო რიცხოვნობისა და შესაბამისი შრომის ანაზღაურების ფონდის გეგმური მაჩვენებლების რეალური ოდენობით განსაზღვრა, რათა თავიდან იქნეს აცილებული წლის განმავლობაში დიდი რაოდენობით თავისუფალი საშტატო ერთეულებისა და შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი მნიშვნელოვანი ეკონომიების არსებობა.</p>	
<p>შრომის ანაზღაურების მიმართულებით გასაწევი ხარჯების დაგეგმვასთან დაკავშირებით ასევე საყურადღებოა, რომ არსებული პრაქტიკით, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ფინანსთა სამინისტროსათვის წარდგენილ საბიუჯეტო განაცხადსა და შემდგომში, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში, წარმოდგენილია „საქონელი და მომსახურების“ მუხლის ჯამური მოცულობა, რაც გულისხმობს იმას, რომ არც საბიუჯეტო განაცხადი და არც ბიუჯეტის კანონი არ შეიცავს ინფორმაციას შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების გეგმური მაჩვენებლისა და ამ მიმართულებით დასაგეგმი წლის განმავლობაში უწყების მიერ მისამართი საბიუჯეტო რესურსის მოცულობის შესახებ. შესაბამისად, ბიუჯეტის შესრულების ეტაპზე, შეუძლებელი ხდება შესრულების ანგარიშში წარმოდგენილი ამ მიმართულებით ათვისებული სახსრების ოდენობის გეგმურ მაჩვენებელთან შესაბამისობის შედარება.</p> <p>ასევე, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის კანონის პროექტით, საბიუჯეტო უწყებებში დასაქმებული შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობასთან დაკავშირებით</p>	<p>საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში საჯარო მოხელეთა, ასევე შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის დანერგვისას მოწესრიგდება რეკომენდაციაში მითითებული მთელი რიგი საკითხები.</p> <p>შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობასთან დაკავშირებით ლიმიტების განსაზღვრულია წლიური ბიუჯეტის კანონში და საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, ხოლო კანონმდებლობით დაწესებული ლიმიტის გადაჭარბება შეუძლებელია.</p> <p>ამასთან, რეკომენდაცია ნაწილობრივ უკვე გათვალისწინებულია და 2017 წელს ყველა ორგანიზაციას დამატებით ექნება ვალდებულება მთავრობასთან შეთანხმოს</p>

⁷ აღნიშნული პრობლემის შესახებ ყურადღება იქნა გამახვილებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“.

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>კანონმდებლობით დაწესებული ლიმიტის⁸ გადაჭარბება მთავრობასთან შეთანხმებას არ საჭიროებს, თუ იგი არ აღემატება გასული ფისკალური წლის განმავლობაში შეთანხმებული გამონაკლისის რაოდენობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბიუჯეტო ორგანიზაციები ყოველ წელს ხელმძღვანელობენ შტატგარეშეთა იმ ოდენობით, რომელიც გამონაკლისის სახით გასული წლების განმავლობაში დაუმტკიცდათ, მიუხედავად იმისა, მიმდინარე წლის განმავლობაში დგას თუ არა უწყების წინაშე ამის საჭიროება. შედეგად, ხშირ შემთხვევაში, ადგილი აქვს ფაქტობრივად დასაქმებული შტატგარეშე მომუშავეთა ოდენობის მნიშვნელოვან ჩამორჩენას გეგმით დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით.</p> <p>შედეგად, გამომდინარე იქედან, რომ მთავრობასთან შეთანხმების საფუძველზე გამონაკლისის სახით დაშვებული კანონმდებლობით დაწესებული შტატგარეშე მომუშავეთა ლიმიტების გადაჭარბება ინერციულ ხასიათს ატარებს, რის გამოც წლის განმავლობაში საბიუჯეტო უწყებებში დასაქმებული შტატგარეშე თანამშრომლების ფაქტიური რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება გამონაკლისით დაშვებულ ოდენობას, და ამასთან, ბიუჯეტის კანონში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შეუძლებელია წლის განმავლობაში შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე გასაწევი საბიუჯეტო სასხრების მოცულობის იდენტიფიცირება, რაც თავის მხრივ ზრდის „საქონელი და მომსახურების“ მუხლში ჭარბი რესურსის წარმოქმნის რისკს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, ერთი მხრივ, კანონმდებლობით დაწესებული ლიმიტებიდან გამონაკლისების დაშვება/გადახედვა ხდებოდეს ყოველწლიურად, საბიუჯეტო ორგანიზაციების საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისი არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი მოიცავდეს ინფორმაციას შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების გეგმური მაჩვენებლის შესახებ, რაც უზრუნველყოფს ამ მიმართულებით ათვისებული საბიუჯეტო რესურსების შესადარისობას გეგმურ მაჩვენებელთან და შესაბამისად, ხელს შეუწყობს საჯარო ფინანსების მართვისა და ანგარიშგების პროცესის გამჭვირვალობის გაუმჯობესებას⁹.</p>	<p>შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა და წარმოადგინოს შესაბამისი დასაბუთებები.</p>
<p>ცალკეული პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის, რომლებიც მიმდინარე საბიუჯეტო წლის 8 თვის განმავლობაში ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება, 2017 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებულია ასიგნებების მოცულობის ზრდა ან იმავე დონეზე შენარჩუნება.</p>	<p>სხვადასხვა პროგრამის განხორციელებას სხვადასხვა სპეციფიკა აქვს და მათი შესრულების ტერმინებიც სხვადასხვა მიზეზებთანაა დაკავშირებული.</p>

⁸ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიხედვით, საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საშტატო რიცხოვნობის 2.0%-ს, ხოლო იმ ორგანიზაციებში, სადაც საშტატო რიცხოვნობის 2.0% შეადგენს 5 ერთეულზე ნაკლებს, ხელშეკრულებით დაქირავებულთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ერთეულს.

⁹ აღნიშნული საკითხის შესახებ ყურადღება იქნა გამახვილებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ“.

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>გარკვეულ შემთხვევებში სხვაობა მიმდინარე წლის ათვისების ტენდენციასა და მომავალი წლის გეგმას შორის შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მთავრობის პრიორიტეტების ან სტრუქტურულ ცვლილებებსა და დისკრეციულ გადაწყვეტილებებთან. თუმცა, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმვისას, სხვა მიზეზებთან ერთად მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს გასული და მიმდინარე წლის შესრულების ტენდენციებიც, რათა თავიდან იქნეს აცილებული წლის განმავლობაში გეგმების ხშირი კორექტირებები და უზრუნველყოფილ იქნეს ათვისების შესაბამისობა განსაზღვრულ გეგმასთან.</p> <p>სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, დამატებითი ყურადღება გამახვილდეს იმ პროგრამების/ქვეპროგრამების დაგეგმვისა და შესრულების ეტაპებზე, რომლებიც გასული ან/და მიმდინარე საბიუჯეტო წლების განმავლობაში ხასიათდებიან ათვისების დაბალი მაჩვენებლებით, რათა მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის უზრუნველყოფილ იქნეს ასიგნებების ათვისების შესაბამისობა კანონით დამტკიცებულ გეგმასთან.</p>	<p>გადამუშავებულ პროექტში გათვალისწინებულ იქნა მიმდინარე წელს პროგრამების ათვისების ტენდენციები, ასევე გაანალიზებულ იქნა ათვისებლობის მიზეზები და დაგეგმილი ცვლილებები და შესაბამისად მოხდა ამ პროგრამების ასიგნებების დაგეგმვა</p>
<p>სსიპ/ა(ა)იპ-ებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადასაცემი სახსრების საპროგნოზო მოცულობა 946 მლნ ლარს შეადგენს და 37%-ით აჭარბებს 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. რაც შეეხება კანონმდებლობით ნებადართული წყაროებიდან მისაღები შემოსულობების გეგმურ მაჩვენებელს, იგი 19 მლნ ლარით (2,3%-ით) ნაკლებია 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გასაწევი ხარჯების პროგნოზირებული მაჩვენებელი 716 მლნ ლარს უტოლდება და 30 მლნ ლარით (4%-ით) აჭარბებს 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი კანონის პროექტი არ მოიცავს ინფორმაციას სსიპ/ა(ა)იპ-ებში შტატით გათვალისწინებულ და შტატგარეშე თანამშრომელთა გეგმური რიცხოვნობის შესახებ.</p> <p>ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში წარმოდგენილი სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების შესახებ ინფორმაციის ანალიზის შედეგად ვლინდება ამ მიმართულებით დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის სისრულესა და სიზუსტესთან დაკავშირებული ხარვეზები. კერძოდ, დოკუმენტი არ მოიცავს ინფორმაციას ყველა იმ სსიპ/ა(ა)იპ-ის შესახებ, რომელიც 2016 წლის მდგომარეობით ფუნქციონირებს და ასევე დაგეგმილია მათი ფუნქციონირება 2017 წლის განმავლობაში.</p> <ul style="list-style-type: none"> • ა(ა)იპ „სპორტული კლუბი „MIA FORCE“; • ა(ა)იპ „შინაგან საქმეთა სამინისტროს ძიუდოს სპორტული კლუბი“; • ა(ა)იპ „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკალათბურთო კლუბი - ს.კ. თსუ“; • სსიპ „ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“; • სსიპ „საზოგადოებრივი კოლეჯი „თბილისის ხელოვნების კოლეჯი“; • სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“; 	<p>სსიპები და ააიპები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას იღებენ, არა მხოლოდ უწყების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად, არამედ ისინი ახორციელებენ მთელ რიგ, მათ შორის მსხვილმასშტაბიან პროგრამებს. აღნიშნული დანართი ბოლო 3 წელია მზადდება, ეტაპობრივად იხვეწება და ყოველწლიურად ხდება ამ დანართის მიერ მოცული ინფორმაციის გაფართოება და დასკვნაში ასახული ზრდა სწორედ დაფარვის არეალის გაფართოებითაა გამოწვეული და არა ამ უწყებების დაფინანსების ზრდით.</p> <p>2017 წლის პროექტი აერთიანებს ინფორმაციას 302 სსიპთან/ააიპთან მიმართებაში. 2016 წლის დანართში ინფორმაცია წარმოდგენილი იყო 294 სსიპ/ააიპთან მიმართებაში და არ ითვალისწინებდა ინფორმაციას იმ ზოგიერთი მაღალბიუჯეტიანი პროგრამის შესახებ, რომლებსაც სსიპები/ააიპები 2016 წელსაც ახორციელებდნენ. 2017 წლის დანართში კი გაფართოებულია დაფარვის არეალი და დანართი მოიცავს სსიპების მიერ განხორციელებულ პროგრამებსაც.</p> <p>ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სსიპები/ააიპებისათვის და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებული</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>• სსიპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ქ. სოხუმის ალექსანდრე შერვაშიძე - ჩაჩბას სახელობის სამხატვრო სასწავლებელი“.</p> <p>სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია, ბიუჯეტის კანონის პროექტი მოიცავდეს სრულყოფილ ინფორმაციას სსიპ/ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რიცხოვნობის გეგმური მაჩვენებლების შესახებ. ამასთან, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იქნეს, ერთი მხრივ, საბიუჯეტო უწყებების, ხოლო მეორე მხრივ ფინანსთა სამინისტროს მიერ ყველა მოქმედი სსიპ/ა(ა)იპ-ის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა და ბიუჯეტის კანონის პროექტში ასახვა.</p>	<p>სახსრები უმეტესწილად შენარჩუნებულია, ადმინისტრაციული ხარჯები შემცირებულია 2016 წელთან შედარებით, რაც შესაძლებელ ხდის მათი შემოსავლებიდან 40,0 მლნ ლარი მიმართოს სახელმწიფო ბიუჯეტში. აუდიტის დასკვნაში წარმოდგენილი სხვაობა (258 მლნ ლარი) გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ 2016 და 2017 წლების დანართები სხვადასხვა პრინციპით იქნა შემუშავებული.</p> <p>რაც შეეხება, იმ სსიპებს/აიპებს, რომლებიც არ არის ასახული 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის შესაბამის დანართში (ა(ა)იპ „სპორტული კლუბი „MIA FORCE“; ა(ა)იპ „შინგან საქმეთა სამინისტროს ძიუდოს სპორტული კლუბი“; ა(ა)იპ „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკალათბურთო კლუბი - ს.კ. თსუ“; სსიპ „საზოგადოებრივი კოლეჯი „თბილისის ხელოვნების კოლეჯი“), ჩამოთვლილი სსიპების/აიპების დაფინანსება ხორციელდება კონტროლის განმახორციელებელი შესაბამისი უწყების მიერ წლის განმავლობაში საჭიროების შემთხვევაში, მათთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, მათი 2017 წლის გეგმა ნულის ტოლია, რის გამოც წარმოდგენილ დანართში მათი ასახვა ვერ მოხდებოდა.</p> <p>სსიპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ქ. სოხუმის ალექსანდრე შერვაშიძე - ჩაჩბას სახელობის სამხატვრო სასწავლებლისთვის“ არ იყო გათვალისწინებული დაფინანსება, შესაბამისად ის არ არის ასახა დანართში, წარმოდგენილ პროექტში უკვე გათვალისწინებულია.</p> <p>ხოლო რაც შეეხება სსიპ - „ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრს „საქპატენტი“ და სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“, აღნიშნული სსიპ-ების შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება ასახულია წარმოდგენილი პროექტის დანართში.</p>
<p>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის 2017 წლის კანონის პროექტის მიხედვით, სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა განისაზღვრა 15,403.1 მლნ ლარის ოდენობით, რაც 2016 წლის დაგეგმილ მაჩვენებელს 827.6 მლნ ლარით (6.0%) აღემატება. სახელმწიფო ვალის მოცემული საპროგნოზო მოცულობა ისტორიულ მაქსიმუმს წარმოადგენს. 2016 წლის ბიუჯეტის კანონში წარმოდგენილი მონაცემებით, წლის ბოლოს</p>	<p>აღსანიშნავია, რომ სტრატეგია „საქართველო 2020“ შემუშავდა 2013 წლის ბოლოს. 2014 წლის მეორე ნახევრიდან დოლარის გამყარების ფონზე დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად გაუფასურდა რეგიონის ყველა ვალუტა, ასევე ევრო და მსოფლიოს სხვა ვალუტები. მშპ-სთან მიმართებაში</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>სახელმწიფო ვალი მშპ-ს 42.6%-ს გაუტოლდება, ხოლო 2017 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის მიხედვით, ანალოგიური მაჩვენებელი 42.1%-ს შეადგენს. შედეგად, 2017 წლის ბოლოსათვის მოსალოდნელია ვალის ტვირთის ინდიკატორის (ვალი/მშპ) 0.5 პროცენტული პუნქტით შემცირება, თუმცა საყურადღებოა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის კანონის პროექტის მიხედვით, სახელმწიფო ვალის მოცულობა მშპ-თან მიმართებაში კვლავ გადააჭარბებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ით დადგენილ 40%-იან ნიშნულს.</p>	<p>სახელმწიფო ვალის ზრდა სწორედ გაცვლითი კურსის ცვლილებამ გამოიწვია. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ვალი მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩენა კანონით დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს და პროექტან ერთად წარმოდგენილი ვალის მდგრადობის ანალიზის მიხედვით, არცერთი შოკის არსებობას არ ცდებდა კანონის დადგენილ ზღვარს.</p>
<p>კანონში განხორციელებული ცვლილებებით შესაძლებელი გახდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოყენება წლიური ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი მიზნისათვის. აღნიშნული კი, მაგალითად, შეუძლებელს ხდის დადგინდეს ბაზრის განვითარებისათვის გამოშვებული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული სახსრების გამოყენების ეფექტიანობა ანუ რამდენად დადებითად იმოქმედა აღნიშნული მიზნობრივობით გამოშვებულმა ფასიანმა ქაღალდებმა ბაზრის განვითარებაზე, მაშინ როდესაც მობილიზებული სახსრების გამოყენება შესაძლებელია ბიუჯეტით განსაზღვრული ნებისმიერი მიზნისათვის. გამომდინარე აქედან, რთულია განისაზღვროს ინდიკატორი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდება მოცემული ღონისძიების ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაზე ზეგავლენის შეფასება.</p> <p>2016 წლის აგვისტოს მდგომარეობით, მოსალოდნელ მშპ-თან მიმართებაში ფასიანი ქაღალდების მოცულობა 6.8%-ს შეადგენს და ამ ეტაპზე ჩამორჩება სტრატეგიით დადგენილ მიზნობრივ მაჩვენებელს (10%). აღნიშნული ინდიკატორი მიზნობრივ მაჩვენებელს ასევე ჩამორჩება 2016 წლის ბიუჯეტის კანონითა და 2017 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით მოცემული მონაცემებით გათვალისწინებითაც. აღნიშნულის შედეგად, მიზანშეწონილია, 2017 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე მხედველობაში იქნეს მიღებული სტრატეგიის დოკუმენტით განსაზღვრული სამოქმედო გეგმა ან/და წინააღმდეგ შემთხვევაში, განხორციელდეს სამოქმედო გეგმის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესაბამისობა.</p>	<p>ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ზემოქმედებას ახდენს ბრუნვაში გაშვებული ფასიანი ქაღალდების მოცულობა და არა რეალიზაციიდან მიღებული სახსრების ოდენობა ან მათი გამოყენების მიზნობრიობა. მაგალითად, ბაზრის შემდგომი განვითარებისათვის და ინვესტორთა მეტად დაინტერესების მიზნით იგეგმება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ვადიანობის დივერსიფიცირება - აქამდე არსებული ვადიანობებზე დამატებითი ვადიანობების გამოშვება, ხოლო ამ ქაღალდების რეალიზაციით შემოსული სახსრები მიემართება წლიური საბიუჯეტო კანონის შესაბამისად.</p> <p>კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის დანართი 1-ით განსაზღვრულია ინდიკატორთა სისტემა ბაზრის განვითარებისათვის. აღნიშნული მაჩვენებლები წარმოადგენენ კაპიტალის ბაზრის განვითარების საორიენტაციო გეგმას მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში. ამ გეგმის მიხედვით „მთავრობის ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფარდობა მშპ-ს თან“ განსაზღვრულია შემდეგნაირად: 2016 – 5.1% , 2018 – 8.0% , 2025 – 10 % . შესაბამისად არ გვაქვს სახეზე არანაირი „ჩამორჩენა“. ზოგადად კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიაში მოყვანილი მაჩვენებლები არ ატარებს დირექტიულ ხასიათს, ისინი წარმოადგენენ მხოლოდ საორიენტაციო გეგმას.</p>
<p>სამოქმედო გეგმით, მესამე ღონისძიების შესრულების მიზნობრივ თარიღად მიმდინარე წლის I კვარტალი განისაზღვრა, თუმცა არსებული მდგომარეობით სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტის გამოქვეყნება არ მომხდარა. სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტის მნიშვნელობაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ყურადღება გამახვილდა „სახელმწიფო ვალის მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში“ და გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია. სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის</p>	<p>წლის ბოლომდე გამოქვეყნებული იქნება სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტი.</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>აუცილებლობაზე ასევე ყურადღებაა გამახვილებული „კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის“ დოკუმენტშიც, სადაც აღნიშნულია, რომ ვალის მართვის სტრატეგიის არსებობა მნიშვნელოვანია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე პროგნოზირებადობის უზრუნველსაყოფად და ბაზრის მონაწილეებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებისათვის¹⁰. გამომდინარე აქედან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, შემუშავდეს და გამოქვეყნდეს სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაში იქნება სხვა პარალელურად მოქმედ სტრატეგიულ დოკუმენტებთან¹¹.</p> <p>ასევე საყურადღებოა, რომ კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიაში მოცემული სამოქმედო ღონისძიებების 2017 წლის ბიუჯეტის კანონში გათვალისწინების შესახებ, არაფერია ნათქვამი 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის წარმოდგენილ ვარიანტში.</p>	
<p>კანონპროექტით გათვალისწინებულია 5 ახალი საინვესტიციო პროექტის დაწყება. დასაფინანსებელი სფეროების მხრივ პრიორიტეტი კვლავ უცვლელი რჩება და გამოყოფილი საკრედიტო რესურსიდან უდიდესი ნაწილი (69%) კვლავ მიმართული იქნება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებებში. გამომდინარე იქიდან, რომ 2017 წელს მისაღები საგარეო საკრედიტო რესურსის უდიდესი ნაწილი საინვესტიციო მიზნობრიობისა და ვინაიდან, საინვესტიციო პროექტების განხორციელების მხრივ კვლავ არსებობს სისტემური ხასიათის პრობლემები¹², მნიშვნელოვანია შესაბამისმა უწყებებმა უზრუნველყონ გამოყოფილი სესხების დროული და ეფექტიანი ათვისება, რათა თავიდან იქნეს აცილებული სესხზე ვალდებულების გადასახადით გაწეული დამატებითი ხარჯებისა და დროში გაწეილი ან/და დაუსრულებელი პროექტების რაოდენობის ზრდა.</p>	<p>საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაა და შესაბამისად მომდევნო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზრდება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხარჯები.</p>
<p>მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი პროგრამული ფორმატით უკვე მეხუთე წელია მზადდება, პროგრამების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია მხოლოდ დანართის სახით ერთვის ბიუჯეტის კანონს და ჯერ კიდევ არ მტკიცდება კანონით. ამასთან, ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით მომზადების პროცესსა და პროგრამების შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაში ჯერ კიდევ შეინიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზები, რაც ართულებს, რაც შემთხვევებში კი შეუძლებელს ხდის შეფასდეს პროგრამების ეფექტიანობა.</p>	<p>პროგრამული ბიუჯეტების დანერგვა კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ბევრი განვითარებული ქვეყნისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული რეფორმის სრულყოფილად დანერგვა რთული და შრომატევადი პროცესია.</p> <p>პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობა გრძელდება. 2016 წლის ბიუჯეტის პროგრამული</p>

¹⁰ კაპიტალის ბაზრის სამუშაო ჯგუფი (2016): „საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია“, გვ. 36.

¹¹ მაგალითად: „საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია“; „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020“.

¹² დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება „2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“, გვ. 87.

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	<p>დანართი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მიმდინარეობს მუშაობა სამინისტროებთან და ასევე დონორებთან პროგრამული ბიუჯეტების გაუმჯობესების მიზნით, კერძოდ, ევროკავშირის ტექნიკური მისიის ფარგლებში გრძელდება მუშაობა სამინისტროებთან მისი დახვეწის მიმართულებით.</p> <p>ამასთან, საჯარო ფინანსების რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვანია შედეგზე ორიენტირებული პროგრამული ბიუჯეტების შემდგომი დახვეწა და გაუმჯობესება, რაც ცალსახად არ არის დამოკიდებული პროგრამული ბიუჯეტის დანართის კანონით დამტკიცებაზე.</p>
<p>როგორც აღინიშნა, ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებსა და პროგრამულ დანართში პროგრამების შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაში ჯერ კიდევ შეინიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზები, რაც ართულებს, რიგ შემთხვევებში კი შეუძლებელს ხდის პროგრამებისა და მათი განმახორციელებლების ეფექტიანობის შეფასებას.</p> <p>კერძოდ, ხარვეზები შეინიშნება შემდეგი მიმართულებებით:</p> <ul style="list-style-type: none"> • საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადება; • პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მოსალოდნელი შედეგების ფორმირება; • პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში შედეგების შეფასების ინდიკატორების შემუშავება; • მეთოდოლოგიური ხარვეზები. <p>პროგრამული ბიუჯეტების განახლებული მეთოდოლოგიის მიხედვით, დეტალურად იქნა განსაზღვრული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებში წარმოსადგენი ინფორმაცია (როგორცაა ლონისძიების აღწერა, საბაზისო მაჩვენებელი, ლონისძიების განხორციელების შედეგად მისაღები სამიზნე მაჩვენებელი, ხარჯთაღრიცხვა და ა.შ.), რაც უნდა დადებითად უნდა შეფასდეს, რამდენადაც მსგავსი ტიპის გეგმები განსაზღვრავს საჯარო უწყების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესების კუთხით მათი წარმატებული საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროების მიერ გეგმების შემუშავების პროცესი და საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში წარმოდგენილი ინფორმაცია გარკვეული ხარვეზებით ხასიათდება, რაც შემდგომ სრულყოფასა და ხარისხობრივ გაუმჯობესებას საჭიროებს.</p> <p>პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის მიხედვით, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესში აუცილებელია ჩართული იყოს როგორც სამინისტროს მაღალი რგოლის მენეჯმენტი, ასევე უშუალოდ შემსრულებელი/პასუხისმგებელი პირები, რომლებიც დეტალურად იცნობენ უწყებაში</p>	<p>პროგრამული ბიუჯეტების დანერგვა ეტაპობრივად მიმდინარეობს. 2015 წელს განახლებული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის საფუძველზე 2015 წელს საპილოტე სამინისტროებში (სულ 5 სამინისტრო), ხოლო 2016 წელს ყველა სამინისტროში (16 სამინისტრო) მომზადდა დეტალური სამოქმედო გეგმები.</p> <p>მიმდინარე წლის აპრილის თვიდან ინტენსიურად გაიმართა შეხვედრები სამინისტროებთან, განხილულ იქნა მათ მიერ მომზადებული 2017-2020 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები და პროგრამული ბიუჯეტის მომზადებასთან დაკავშირებული სირთულებები და არსებული გამოწვევები. ამასთან, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს პროგრამული ბიუჯეტის და სამოქმედო გეგმების გადამუშავება, მისი გაუმჯობესების მიზნით.</p> <p>იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სამოქმედო გეგმები ყველა სამინისტროს მიერ პირველად მომზადდა 2016 წელს და აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად ასახავს თითოეული სამინისტროს პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ლონისძიებების შესახებ ინფორმაციას, აღნიშნული პროცესი დაკავშირებულია სხვადასხვა სირთულებებთან და პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე (მათ შორის, რეალური გაზომვადი ინდიკატორების განსაზღვრა და მათი პროგრამებში ასახვა გაზომვის შესაძლებლობების არსებობის გათვალისწინებით, სტატისტიკური მონაცემების დამუშავება,</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>მიმდინარე პროცესებს. საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შედგენა უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლებით დაკომპლექტებულმა სამუშაო ჯგუფმა. გეგმით გათვალისწინებული თითოეული ღონისძიებისა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვების მომზადების დაგეგმვაზე პასუხისმგებლობას უნდა იღებდეს შესაბამისი შემსრულებელი სტრუქტურული ერთეული, საფინანსო/საბიუჯეტო/ეკონომიკური სამსახური კი უზრუნველყოფდეს ჯგუფის საქმიანობის კოორდინაციას. სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესი ზოგიერთი სამინისტროს შემთხვევაში, მეთოდოლოგიით განსაზღვრული პრინციპების გათვალისწინებით არ განხორციელებულა.</p> <p>თავდაცვის სამინისტროს შემთხვევაში, ფინანსების მართვის დეპარტამენტის მცდელობა, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა სამინისტროს ფარგლებში შემავალი დეპარტამენტებისა და სსიპ-ების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიების შესაბამისად შეედგინა, უშედეგოდ დასრულდა. აღნიშნულმა დეპარტამენტმა ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვის შესადგენად სხვა სტრუქტურული ერთეულებისგან მოითხოვა შესაბამისი ინფორმაციის (მაგ. საპროტოკოლო, სწავლების, დაზღვევის, რეკლამებისა და სხვა ღონისძიებების ხარჯების შესახებ) მოწოდება, თუმცა სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომპეტენციების განაწილების მიმართულებით ნაკლები ინფორმირებულობის გამო, არცერთი დეპარტამენტისაგან ინფორმაცია არ მიუღია, რის შედეგადაც ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვის განსაზღვრა ვერ მოხერხდა. შედეგად, ფინანსების მართვის დეპარტამენტმა აღნიშნული ღონისძიებების ბიუჯეტი გასულ წლებში გაწეული საკასო ხარჯების მიხედვით დაგეგმა.</p> <p>იუსტიციის სამინისტროს შემთხვევაში საერთოდ ვერ მოხერხდა 2017-2020 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნას, საშუალოვადიან სამოქმედო გეგმების 30 ივნისამდე დამტკიცების შესახებ.</p>	<p>რეალური რისკების განსაზღვრა და სხვა), ბუნებრივია, რომ არსებობდეს გარკვეული ხარვეზები ამ მიმართულებით. აღნიშნული რეფორმის სრულყოფილად დანერგვა რთული და შრომატევადი პროცესია და მომდევნო წლებშიც აქტიურად გაგრძელდება მუშაობა.</p> <p>ამასთან, ცალკეულ სამინისტროებთან მიმართებაში შეძლებისდაგვარად არსებული დროის და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით განხორციელდა პროგრამული ბიუჯეტის და სამოქმედო გეგმების გადამუშავება და კვლავ გაგრძელდება აღნიშნულ თემებზე მუშაობა.</p>
<p>მიუხედავად იმისა, რომ „საშუალოვადიანი გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიაში“ ხაზგასმულია სამინისტროების მიერ ინდიკატორების გაზომვისათვის საჭირო მონაცემების წყაროს მითითების მნიშვნელოვნება, სამინისტროების მიერ წარმოდგენილი არცერთი საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა არ შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, ხელმისაწვდომია თუ არა საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლების შესაფასებლად საჭირო მონაცემები.</p>	<p>პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვა კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ბევრი განვითარებული ქვეყნისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული რეფორმის სრულყოფილად დანერგვა რთული და შრომატევადი პროცესია.</p> <p>პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობა გრძელდება. 2016 წლის ბიუჯეტის პროგრამული დანართი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მიმდინარეობს მუშაობა სამინისტროებთან და ასევე დონორებთან პროგრამული ბიუჯეტირების გაუმჯობესების მიზნით,</p>
<p>პროგრამული ბიუჯეტირების მეთოდოლოგიის მიხედვით, განსაზღვრული დაფინანსების შემთხვევის გარდა, ასევე სასურველია, განხილული იქნეს დამატებითი რესურსის მოძიებით ღონისძიების სრულყოფილად განხორციელების შემთხვევა, კერძოდ, საჭირო დაფინანსების მთლიანი მოცულობა, შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა და სამიზნე</p>	

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>მაჩვენებლები. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროები, ხშირ შემთხვევაში, საბიუჯეტო განაცხადებში უთითებენ ჭერს ზემოთ დაფინანსების საჭიროებას, მათ მიერ წარმოდგენილ საშუალოვადიან გეგმებში განხილული არ არის აღნიშნული დაფინანსების მიღების შემთხვევის ალტერნატიული სცენარები. მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შემთხვევაში, ხარჯთაღრიცხვის ნაწილში მითითებულია საჭირო დამატებითი თანხების ოდენობა, თუმცა საშუალოვადიანი გეგმა არ შეიცავს ინფორმაციას ალტერნატიული სამიზნე მაჩვენებლების შესახებ გაზრდილი დაფინანსების შემთხვევაში. სამინისტროების საშუალოვადიან გეგმებში გამოვლენილი ზემოხსენებული ნაკლოვანებები მიუთითებს, რომ გეგმები სრულყოფასა და ხარისხობრივ გაუმჯობესებას საჭიროებს. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, სამინისტროების მიერ საშუალოვადიანი გეგმების შემუშავების პროცესში მხედველობაში იქნეს მიღებული მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ძირითადი პრინციპები და დამატებითი ყურადღება გამახვილდეს განსაზღვრული ინფორმაციის სრულყოფილად წარმოდგენაზე.</p>	<p>კერძოდ, ევროკავშირის ტექნიკური მისიის ფარგლებში გრძელდება მუშაობა სამინისტროებთან. საჯარო ფინანსების რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვანია შედეგზე ორიენტირებული პროგრამული ბიუჯეტირების შემდგომი დახვეწა და გაუმჯობესება, რაზეც მომავალშიც გაგრძელდება მუშაობა.</p>
<p>განახლებული მეთოდოლოგიის შესახამისად მომზადებულ პროგრამულ დანართში, შეინიშნება ინფორმაციის ხარისხობრივი გაუმჯობესება. თუმცა, კანონპროექტის პროგრამულ დანართში მოცემული ინფორმაციის ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრული პროგრამების ფარგლებში მოსალოდნელი შედეგების ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ ხარვეზებით ხასიათდება. კერძოდ, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართულ პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი პროგრამების/ქვეპროგრამების მოსალოდნელი საბოლოო/შუალედური შედეგების ნაწილს კვლავ არ გააჩნია მიზნობრივი მაჩვენებლები. მიუხედავად იმისა, რომ განახლებული „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის“ თანახმად, საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლების მითითება ცალ-ცალკე ხდება, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც არ არის განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მისაღწევი კონკრეტული მიზანი, რაც ანგარიშგების ეტაპზე გაართულებს აღნიშნული პროგრამის/ქვეპროგრამის ეფექტიანობის შეფასებას. მაგალითად:</p>	
<p>პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიის გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელებული ცვლილებების¹³ მიუხედავად, ჯერ კიდევ საჭიროა მისი ეტაპობრივი დახვეწა პროგრამული ბიუჯეტირების განვითარების პარალელურად. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით მომზადებაში მნიშვნელოვანი ხარვეზები შეინიშნება და ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება მხარჯავი</p>	<p>ამ ეტაპზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა განახლებული მეთოდოლოგიის სრულყოფილად დანერგვის მიმართულებით. აღნიშნულის მისაღწევად რამდენიმეწლიანი მუშაობაა საჭირო, ვინაიდან დაკავშირებულია დიდ დროსთან და ადამიანურ რესურსებთან. შემდგომ ეტაპზე, დანერგვის</p>

¹³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №265 „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>დაწესებულებების მიერ საბიუჯეტო სახსრების ათვისების შედეგად მიღწეული შედეგების ეფექტიანობის შეფასება, მიზანშეწონილია, მომზადდეს დაგეგმვისა და ანგარიშგების უფრო დეტალური ინსტრუქციები საშუალოვადიანი გეგმების, პროგრამის ფარგლებში მოსალოდნელი და მიღწეული შედეგების და შედეგების შეფასების ინდიკატორებისთვის. ასევე, სასურველია თვალსაჩინო მაგალითების მოყვანა სხვადასხვა სპეციფიკის მქონე პროგრამებისთვის.</p>	<p>პროცესში გამოვლენილი გამოწვევების და მიგნებების გათვალისწინებით, კვლავ გაგრძელდება მეთოდოლოგიის გადამუშავებაზე და მისი მორგება ქვეყნის რეალობასთან.</p>
<p>ნდობის ჯგუფი</p>	
<p>საქართველოს დაზვერვის სამსახურის სპეციფიკისა და უფლებამოსილების გათვალისწინებით, სამსახურის საჭიროებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით სამსახურისათვის განსაზღვრული ბიუჯეტის 1 მილიონი ლარით გაზრდა.</p>	<p>არსებული მაკრო-ფისკალური პარამეტრების გათვალისწინებით მოხდა ბიუჯეტების გადამუშავება, რომლის ფარგლებშიც:</p> <ul style="list-style-type: none"> • დაზვერვის სამსახურისთვის გათვალისწინებულია 13,5 მლნ ლარი; • სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის 118,0 მლნ ლარი; • თავდაცვის სამინისტროსათვის - 748,0 მლნ ლარი, რაც მშპ-ს 2%-ზე მეტია.
<p>საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წინაშე არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე ნდობის ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული ბიუჯეტის 5 მილიონი ლარით გაზრდა.</p>	
<p>ნდობის ჯგუფმა იმსჯელა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ასიგნებებისა და პროგრამული მიმართულებების შესახებ. ნდობის ჯგუფს მიაჩნია, რომ სასურველია მომავალში გამოიძებნოს სახსრები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის გაზრდასთან დაკავშირებით.</p>	
<p>საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი</p>	
<p>კომიტეტი იზიარებს და მხარს უჭერს საქართველოს მთავრობის მიერ 2017 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტის და თანდართული დოკუმენტების ფორმირების კონცეფციას, მათ შორის, 2017-2020 წლებში ქვეყნის ძირითად საპროგნოზო მონაცემებსა და მიმართულებებს, რომლებიც შეესაბამებიან „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოს“ სამთავრობო პროგრამის ეტაპობრივი და თანმიმდევრული განხორციელებას და უზრუნველყოფენ მოსახლეობის ეფექტურ სოციალურ დაცვას, განათლების დარგის რეფორმას, ეკონომიკის განვითარებას, სოფლის მეურნეობის გაძლიერების ხელშეწყობას, ამასთან, მოითხოვს, რომ ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში სრულად აისახოს საქართველოს მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის (მმართველობის რეფორმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის რეფორმა, საგანმანათლებლო სისტემის რეფორმა, საგადასახადო ადმინისტრირების რეფორმა) შესრულების ფინანსური პარამეტრები და მექანიზმები;</p>	<p>გათვალისწინებულია</p>
<p>კომიტეტი მოელის, რომ საქართველოს 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებულ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფინანსური მოთხოვნები ქვეყნის</p>	<p>გათვალისწინებულია</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>ეკონომიკის სწრაფი განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორცაა: ქვეყნის სივრცითი მოწყობა, საერთაშორისო-ეროვნული ჩქაროსნული ავტომაგისტრალები, სახელმწიფო გზებისა და შიდა საგზაო სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოვლა და შენახვა, დასახლებებისა და მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგება, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის და წყალარინების სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია, რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ახალი ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მყარი ნარჩენების მართვა და საარსებო გარემოს დაცვა და სხვა.</p>	
<p>წინა წლების გამოცდილებისა და მუნიციპალიტეტებში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით განვითარებასა და დახვეწას მოითხოვს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები (საქართველოს მთავრობის დადგენილება №23, 07.02.2013), რათა გამოირიცხოს პროექტების შერჩევის, შედგენის, ტენდერების გამოცხადების, ობიექტების მშენებლობის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღების პროცესში არსებული ხარვეზები და დეფექტები, დაცულ იქნას მუნიციპალიტეტების მიხედვით ამა თუ იმ პროექტის უპირატესი დაფინანსების (მათ შორის, გამონაკლისის წესით თანადაფინანსების საკითხში) აუცილებლობის პრინციპი;</p>	<p>საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილებით დამტკიცებულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან პროექტების შერჩევაში აქტიურ ჩართულობას.</p> <p>ამასთან, მიმდინარე წელს მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით შემუშავდა საინვესტიციო პროექტებთან მიმართებაში საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი (საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 22 აპრილის N191 დადგენილება) და დეტალური მეთოდოლოგია (საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიმდინარე წლის 22 ივლისის N165 ბრძანება). აღნიშნული მიზნად ისახავს საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი ციკლის შემუშავებას, განსაზღვრულია საინვესტიციო პროექტების შემუშავების წესები და პროცედურები, მონაწილე უწყებების როლები და პასუხისმგებლობები სახელმწიფო ინვესტიციების მართვის პროცესის ყველა სტადიისათვის საინვესტიციო პროექტების განხორციელების დაწყებამდე. აღნიშნული მეთოდოლოგიის დანერგვა ეტაპობრივად იგეგმება ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტთან მიმართებაში.</p> <p>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მუშაობა</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>ქვეყნის სწრაფი განვითარების უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის რეალიზაცია მოითხოვს 2017 წლის ბიუჯეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი გაიზარდოს არა ნაკლებ 300.000.0 ლარამდე, ნაცვლად პროექტით წარმოდგენილი 280 000.0 ათასი ლარისა და მისი განკარგვა განხორციელდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით, მაღალმთიანი და დეპრესიული რეგიონების (მუნიციპალიტეტების) ჩათვლით;</p> <p>2017 წლის ბიუჯეტში უნდა დარჩეს მუნიციპალიტეტებში და მოსახლეობაში პოპულარული „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ (2016 წლის დონეზე მაინც), სანამ ქვეყნაში დასახლებათა განვითარების ახალი სტრატეგია არ იქნება შემუშავებული.</p>	<p>მიმდინარეობს მუნიციპალიტეტებთან საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილებით განსაზღვრული რეგულაციების შემდგომი დახვეწის მიმართულებით.</p> <p>წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის განსახორციელებლად შესაბამისი ღონისძიებები და დაფინანსება. 2017-2020 წლებში 14,0 მილიარდ ლარზე მეტი მიიმართება ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე, მათ შორის 8,0 მილიარდ ლარზე მეტი საგზაო ინფრასტრუქტურული მშენებლობა-რეაბილიტაციაზე. აღნიშნულ პროექტების განხორციელება შესაძლებელს გახდის რეგიონების ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას.</p> <p>რაც შეეხება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი განისაზღვრა 260.0 მლნ ლარის ოდენობით, თუმცა არსანიშნავია, რომ 2016 წლის პირველად მონაცემებთან შედარებით 2017 წელს მნიშვნელოვანდ გაზრდილია, ასევე გარკვეული ტიპის ხარჯები მუნიციპალიტეტების ნაცვლად დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან (მაგ: ფეხბურთი, სახელმწიფო თეატრები და სხვა), რაც ასევე დამატებით რესურსს უჩენს მუნიციპალიტეტებს. გარდა ამისა მუნიციპალიტეტებმა უნდა შეამცირონ მათი ადმინისტრაციული ხარჯები და ესეც დამატებით რესურსს გაუჩენს მუნიციპალიტეტებს და ჯამში ყველა ეს თანხა უნდა მიიმართოს შესაბამის მუნიციპალიტეტში საჭირო ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.</p>
<p>მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი უნდა განისაზღვროს არა ნაკლებ 20 000.0 ათასი ლარის ოდენობით, ამასთან ეს ფონდი უნდა განიკარგოს მხოლოდ და მხოლოდ მაღალმთიანი რეგიონების აუცილებელი საჭიროების მიხედვით, კანონმდებლობით დაზუსტებული ახალი რეგულაციების შესაბამისად;</p>	<p>გათვალისწინებულია</p>
<p>„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის (აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერჯის ყოველთვიური საფასურის</p>	

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>ანაზღაურება) ამოქმედებასთან დაკავშირებით, დაზუსტდეს აუცილებელი ფინანსური რესურსები და ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყება;</p> <p>დაზუსტებას მოითხოვს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის (2016 წლის 1 სექტემბრიდან) მიხედვით (ზამთრის პერიოდში (შესაბამისი წლის 15 ოქტომბრიდან მომდევნო წლის 15 აპრილის ჩათვლით) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა გათბობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით (მათ შორის, ბუნებრივი აირით) შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება) ბიუჯეტიდან გასაწევი ხარჯები და მასზე პასუხისმგებელი დაწესებულებები;</p>	
<p>დაზუსტებას მოითხოვს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით (ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის, მრავალსექტორიანი საჯარო სკოლის მოსწავლისათვის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტისათვის ვაუჩერის გაზრდილი ოდენობით გასაცემელი ფინანსური სახსრების საკმარისობა და სისრულე;</p>	
<p>მიზანშეწონილია 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის ტექსტურ ნაწილში (განმარტებითი ბარათი და სხვა) აისახოს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო ვალდებულების დაფინანსების მდგომარეობა შესაბამისი მხარჯავი (განმკარგავი) სამინისტროებისა და უწყებების მითითებით;</p>	
<p>აგრარულ საკითხთა კომიტეტი</p> <p>რაც შეეხება აგრარული სექტორის დაფინანსებას, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია, თუმცა იგი სრულად არ ასახავს დარგის განვითარების პრიორიტეტულობას, რომელზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, სოფლის მეურნეობის დაფინანსება მცირდება 83 მლნ. 210 ათასი ლარით. (25%-ით ნაკლები წინა წელთან შედარებით) შესაბამისად მცირდება პროგრამების დაფინანსებაც: სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა შემცირებულია 75 მლნ. 430 ათასი ლარით, სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსამედობა - 3 მლნ. 930 ათასი ლარით, მევენახეობა - მეღვინეობის განვითარება - 450 ათასი ლარით, სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება - 3 მლნ. 400 ათასი ლარით. 2016 წელთან შედარებით შემცირების ტენდენციით ხასიათდება თითქმის ყველა ქვეპროგრამა: (სოფლის მეურნეობის პოლიტიკის შემუშავება და მართვა - მცირდება 2 მლნ, 735 ათასი ლარით, შესაბამისად, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვა და</p>	<p>სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის ბიუჯეტი პირველ წარდგენასთან შედარებით დამატებით მიიმართა 20 მლნ ლარამდე და სამინისტროს დაფინანსებად განისაზღვრა 258 მლნ ლარით.</p> <p>ამასთან, არსებული მაკრო-ფისკალური ჩარჩოს გათვალისწინებით და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის საჭირო რესურსების მობილიზების მიზნით საქართველოს მთავრობა ახორციელებს ადმინისტრაციული ტიპის ხარჯების შემცირებას (მიმდინარე წლის საპროგნოზო მაჩვენებლის 10%-ით). პროგრამების დიდი ნაწილი შენარჩუნებულია მიმდინარე წლის პარამეტრებში, რის გამოც დამატებითი რესურსების გამოყოფა</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>ადმინისტრირება რეგიონებში - 385 ათასი ლარით, სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია - 14 მლნ. ლარით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები - 1 მლნ. 240 ათასი ლარით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დაფარვა - 7 მლნ. ლარით, აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები - 4 მლნ. ლარით, ქართული ჩაი 2 მლნ. 500 ათასი ლარით, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია- 3 მლნ. ლარით, მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთლსაიმედოობა - 550 ათასი ლარით.</p>	<p>ყველა არსებული მოთხოვნის დასაფინანსებლად შეუძლებელია.</p>
<p>სოფლად რეფორმების განხორციელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფერმერულ-გლეხური მეურნეობების განვითარებაზე, მათი მატერიალურ-ტექნიკური, ინტელექტუალური რესურსების კოოპერირებაზე, სწორედ ასეთ სამეწარმეო ფორმას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და მას სახელმწიფო მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის ხელშეწყობის თვალსაზრისით პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. ზემოთქმულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ უნდა გაიზარდოს ქვეპროგრამა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებების“ დაფინანსება 5 მლნ. 350 ათასი ლარიდან 15 მლნ. ლარამდე.</p>	
<p>ქვეპროგრამა „აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები“ უმნიშვნელოვანესი პროექტია. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე ეს სექტორი არცერთ ქვეყანაში არ განვითარებულა. სტიქიური მოვლენები ერთ-ერთი ყველაზე დიდი რისკია. აგრარულ სექტორში ხშირად ხდება, რომ მოსავალი სრულიად ნადგურდება ამა თუ იმ ბუნებრივი სტიქიის გამო და ფერმერი შემოსავლის გარეშე რჩება. აგროდაზღვევა ერთადერთი მექანიზმია, რომ ფერმერმა მიიღოს ანაზღაურება, თუკი მოსავალი გაუნადგურდა და მომდევნო წელს კვლავ შეძლოს მოსავლის მოყვანა. აგროდაზღვევის განვითარებისთვის ფერმერებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა ხელმისაწვდომ ფასად დააზღვიონ მოსავალი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ რაც შეიძლება მეტი ფერმერი ჩაერთოს ამ პროცესში. არის მზარდი დაინტერესება ფერმერების მხრიდან, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან უნდა წახალისდეს. მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი დაფინანსება არასაკმარისია და იგი უნდა გაიზარდოს 5 მილიონიდან 10 მილიონ ლარამდე.</p>	
<p>ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის და ვირსალამის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით სახეზეა ქვეყანაში ზოონოზური დაავადებების (ისეთი დაავადებები რომელიც ცხოველიდან ადამიანს გადაცემა) ჯილეხი, ცოფი, ბრუცელოზი, ტუბერკულოზი, ლეშმანიოზი, ზრდის დინამიკა. აღნიშნული დაავადებების გახშირებული შემთხვევები შეიძლება მძიმე პრობლემად ექცეს ქვეყანას. ქვეპროგრამა „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა“ მიზანია ქვეყანაში არსებული ეპიზოოტიური</p>	

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>დაავადებების გავრცელების მაღალი რისკის თავიდან აცილება და არსებული კერების შემცირება. ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შექმნის და სანაშენე მეცხოველეობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ცხოველთა იდენტიფიკაციაა. ცხოველთა იდენტიფიცირების პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსია საჭირო. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ცხოველთა იდენტიფიცირება სრულად არის განხორციელებული. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე საჭიროა აღნიშნული ქვეპროგრამის დაფინანსება გაიზარდოს 8. მლნ 600 ათასი ლარიდან 11 მლნ. ლარამდე.</p>	
<p>ქვეპროგრამა „სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების მეთოდების სამეცნიერო კვლევა“ მიზანია უვნებელი, ეკოლოგიურად სუფთა და ხარისხიანი სურსათის წარმოების, ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის და კერძობიზნესში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება. პრობლემის არსი მდგომარეობს შემდეგში, პროდუქცია მოგვყავს მაგრამ ვერ ვინახავთ. ეს ეხება მემცენარეობის დარგის პირველად გადამუშავებას, როგორც ერთწლოვან, ისე მრავალწლოვან კულტურებში, რომლის შენახვა ხდება კუსტარულ პირობებში. პროექტი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების თანამედროვე ინფრასტრუქტურის მოწყობას - საექსპერიმენტო შენობა-კომპლექსი ანალიტიკური ლაბორატორიით. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე საჭიროა ქვეპროგრამაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსი 175 ათასი ლარი, გაიზარდოს 2 მლნ. ლარამდე.</p>	
<p>საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი</p>	
<p>საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 22 ივლისს მიიღო საქართველოს კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ“, რომლის 36-ე და მე-40 მუხლების მიხედვით საქართველოს მთავრობას 2016 წელს უნდა დაეფუძნებინა სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. ამავე კანონის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში გათვალისწინებინა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ფუნქციონირებისათვის საჭირო სახსრების ასახვა. ამ მიზნით გასულ წელს გამოყოფილი იყო 300 ათასი ლარი, თუმცა დეპარტამენტი დღემდე არ დაფუძნებულა.</p> <p>„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ფუნქციონირებისათვის საჭირო სახსრები გათვალისწინებული აღარ არის. კომიტეტს მიაჩნია, რომ ეს საკითხი აუცილებლად უნდა იყოს ასახული კანონპროექტის კორექტირებული ვარიანტის წარმოდგენისას.</p>	<p>„სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში გაითვალისწინა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ფუნქციონირებისათვის საჭირო სახსრები. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 2016 წლის განმავლობაში სახელმწიფო ენის დეპარტამენტს არ შექმნილა, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში ამ მიზნით არ მოხდა სახსრების გათვალისწინება.</p> <p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გაითვალისწინებს შესაბამის სახსრებს ენის დეპარტამენტის დაფუძნების შემთხვევაში.</p>
<p>გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი</p>	

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. იმისათვის, რომ განხორციელდეს მთავრობის მიზანი დანერგოს „მწვანე ეკონომიკის“ პრინციპები და ხელი შეუწყოს „მწვანე ბიზნესის“ განვითარებას, აგრეთვე, ქვეყანაში გარემოს ხარისხის გასაუმჯობესებლად, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს ორმხრივი და მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, გარემოსდაცვითი სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის განახლებისათვის, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული დაფინანსებით (33 400,0 ათასი ლარი- დონორების დაფინანსებისა და თანადაფინანსების გარეშე) გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ვერ შეძლებს თავისი ფუნქციების ეფექტურად და სრულყოფილად განხორციელებას.</p>	<p>არსებული მაკრო-ფისკალური ჩარჩოს გათვალისწინებით და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის საჭირო რესურსების მობილიზების მიზნით საქართველოს მთავრობა ახორციელებს ადმინისტრაციული ტიპის ხარჯების შემცირებას (მიმდინარე წლის საპროგნოზო მაჩვენებლის 10%-ით). ამასთან პროგრამების დიდი ნაწილი შენარჩუნებულია მიმდინარე წლის პარამეტრებში, რის გამოც დამატებითი რესურსების გამოყოფა ყველა არსებული მოთხოვნის დასაფინანსებლად შეუძლებელია.</p>
<p>წარმოდგენილი დოკუმენტით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2017 წლის ასიგნებები შეადგენს 37 950,0 ათას ლარს, მათ შორის საბიუჯეტო სახსრები (დონორების დაფინანსებისა და თანადაფინანსების გარეშე) 33 400,0 ათას ლარს, რაც „2017-2020 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების“ დოკუმენტით განსაზღვრულ ასიგნებებთან შედარებით (35 000 ათ. ლარი) შემცირებულია 1 600,0 ათასი ლარით. აღნიშნული დაფინანსებით ექვექვემ დგება სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულების საკითხი. კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> • „გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავების, რეგულირებისა და მართვის“ (38 01) პროგრამით გათვალისწინებული თავდაპირველი ასიგნებები მცირდება 540,0 ათასი ლარით (მათ შორის ქვეპროგრამები - 130,0 ათასი ლარით). აღსანიშნავია, რომ პროექტით გათვალისწინებული დაფინანსება მიმდინარე წლის დამტკიცებულ ბიუჯეტზე ნაკლებია. რითაც პირველ რიგში ექვექვემ დგება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიღებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ვალდებულებების შესრულების საკითხი, რომლის დასაფინანსებლად ჯამში საჭიროა 1,3 მლნ ლარი, მათ შორის, საშტატო რიცხოვნობის გაზრდა 16 ერთეულით, წლიური შრომის ანაზღაურების ფონდი - 660,0 ათ ლარამდე, 380,0 ათასი ლარი ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვადასხვა ხარჯებისათვის (მივლინება, საწვავი, საოფისე ავეჯი, კომპიუტერები, კომუნალური და სხვა ხარჯი). გარდა ამისა, მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის და გის-პორტალის შექმნისათვის საჭიროა 300,0 ათასი ლარი. მისი მიზანია გარემოსდაცვითი მართვის ინტეგრირებული სისტემის შექმნა, რომლის დანიშნულებაა ცენტრალურ და რეგიონულ მართვის სტრუქტურებსა და მათთან დაკავშირებულ უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობა და საზოგადოებისათვის ამ მონაცემებთან წვდომის გაუმჯობესება. იგი მოიცავს არსებულ მონაცემთა ბაზების ინტეგრირებას, 	

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>თავსებადობას ახალ სისტემასთან. აღნიშნული თანხების ნაწილი (200,0 ათას ლარამდე) გათვალისწინებული იყო სამინისტროს მიერ წარდგენილ პროექტში, ხოლო დანარჩენი - დამატებით მოთხოვნაში იყო გათვალისწინებული.</p> <ul style="list-style-type: none"> • „გარემოსდაცვითი ზედამხედველობა“ (38 02) - შემცირებულია 300,0 ათასი ლარით, რის გამოც შესაძლოა საფრთხე შეექმნას სხვადასხვა სახის ლაბორატორიული კვლევების (საწვავის ხარისხის განსაზღვრა, მანგანუმის მადანში კონცენტრატის განსაზღვრა, წიაღის სახეობის დადგენა, რეზერვუარების მოცულობების დადგენა და სხვა) განხორციელებას. • „დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა“ (38 03) - შემცირებულია 100,0 ათასი ლარით (მათ შორის, შრომის ანაზღაურების ფონდი, რომელიც მოიცავდა მხოლოდ წლიურ თანამდებობრივ სარგოს - 50,0 ათასი ლარით). სააგენტოს ასიგნებებში ფუნქციონირებისთვის საჭირო მინიმალური ხარჯები იყო გათვალისწინებული. • „სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა“ – (38 04) შემცირებულია 500,0 ათასი ლარით, (მათ შორის, შრომის ანაზღაურების ფონდი, რომელიც მოიცავდა მხოლოდ წლიურ თანამდებობრივ სარგოს - 100,0 ათასი ლარით). • „გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა“ (38 06) - შემცირებულია 50,0 ათასი ლარით, სსიპ-ს-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო ფუნქციონირებისთვის საჭირო მინიმალური ხარჯები, მათ შორის ოფისის იჯარა, რომლის ნაწილი ფინანსდება საკუთარი შემოსავლებიდან, რომელიც წლიურად მხოლოდ 60.0-90.0 ათ. ლარს შეადგენს. • „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა“ (38 07) - შემცირებულია 110,0 ათასი ლარით. შედეგად, ექვევქმ დგება სააგენტოს გამართული ფუნქციონირებისა და ქვეყნის ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე, სააგენტოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულების საკითხი, კერძოდ, „საქონელი და მომსახურების“ მუხლი (378.0 ათ. ლარი) შემცირებულია 60.0 ათ. ლარით. რომლის ნაწილი მოიცავს წლის განმავლობაში რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებული საცავისა და სოფ. სააკამესთან არსებული რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ფიზიკური დაცვის ხარჯების ანაზღაურებისთვის საჭირო სახსრებს (193.0 ათ.ლარი), ასევე, გათვალისწინებულია შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებისათვის საჭირო ასიგნებები (64.0 ათ. ლარი). სააგენტო წლის განმავლობაში ახორციელებს საგანგებო რადიოლოგიურ სიტუაციებზე რეაგირებასა და ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ინსპექტირებას, ასევე, საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა ლოკაციებზე გარემოს რადიაციულ გეგმიურ მონიტორინგს. ამასთან, მიმდინარე 	

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>პერიოდისთვის სააგენტო განთავსებულია სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში და შესაბამისად, არ უწევს სხვადასხვა კომუნალური გადასახადების დაფარვა. თუმცა 2017 წლის დასაწყისიდან დაგეგმილია ახალ ფართში განთავსება, რაც გამოიწვევს აღნიშნული ხარჯების ზრდას. „შრომის ანაზღაურების“ მუხლი (510.0 ათ. ლარი) შემცირებულია 50.0 ათ. ლარით. აღნიშნული მუხლით მოთხოვნილ ასიგნებაში გათვალისწინებულია სააგენტოს თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისთვის საჭირო სახსრები. სააგენტოს მუშაობის სპეციფიკა დაკავშირებულია გარკვეულ საფრთხეებთან, როგორცაა ბირთვულ და რადიოაქტიურ წყაროებთან და ნარჩენებთან ინტენსიური მუშაობა. ასევე, აღსანიშნავია რომ კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, სააგენტოს თანამშრომლებს უწევთ ზეგანაკვეთური გრაფიკით მუშაობა, რომელიც უკავშირდება ბირთვულ და რადიაციულ ინციდენტებზე და ავარიებზე რეაგირებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის სახელწიფო საზღვარზე (სააგენტოს თანამშრომლების პროფესიული ვალდებულებებიდან გამომდინარე, წლიური დასაშვები დოზური ზღვარი 20-ჯერ აღემატება მოსახლეობისთვის დასაშვებ ზღვარს).</p> <p>ვითვალისწინებთ რა სახელმწიფოს სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებს, აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მოთხოვნა და გამოყოს ასიგნებები 1 600,0 ათასი ლარის ოდენობით მაინც, რათა სამინისტრომ შეძლოს ფუნქციების ეფექტურად შესრულება...:</p> <p>იურიდიულ საკითხთა კომიტეტი</p>	
<p>მთავრობას ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება, რომ პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურისა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესების მიმართულებით გადაედგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, მაგრამ 2017 წლის ბიუჯეტში ამ მიმართულებით დაგეგმილია ხარჯების არა მატება, არამედ, პირიქით, შემცირება. კანონპროექტის ავტორმა განაცხადა, რომ მზადდება შესაბამისი კანონპროექტი სასჯელაღსრულების სისტემაში რეფორმების გატარების მიზნით, რომელიც წარმოდგენილ იქნება პარლამენტში. კომიტეტის აზრით, ვიდრე არ იქნება განხილული და მიღებული დასახელებული კანონპროექტი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსათვის საბიუჯეტო დაფინანსების შემცირება მიზანშეუწონელია.</p>	<p>სასჯელაღსრულების ბიუჯეტი 2017 წელს განსაზღვრულია 139.1 მლნ ლარით</p>
<p>კომიტეტზე ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ საერთო სასამართლოების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და შესაბამისი კადრებით უზრუნველყოფის მიზნით 2017 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს სათანადო თანხები. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მომხსენებელმა განაცხადა, რომ საერთო სასამართლოს</p>	<p>გათვალისწინებულია - ბიუჯეტი გაიზარდა 17 მლნ ლარით, მათ შორის 15 მლნ ლარი გათვალისწინებულია არაფინანსურ აქტივებში</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>მოსამართლეთა გაზრდის შემთხვევაში დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნება, ასევე დაფინანსდება თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობის მშენებლობა.</p>	
<p>საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელების რაოდენობის სამჯერ მატების გამო საკონსტიტუციო სასამართლო ითხოვს 10 მრჩველის შტატის დამატებას, რასაც მხარი დაუჭირა კომიტეტმა.</p>	<p>გათვალისწინებულია, რიცხოვნობა გაიზარდა 10 ერთეულით და 700 ათასი ლარით;</p>
<p>კომიტეტმა დაუშვებლად მიიჩნია იურიდიული დახმარების სამსახურისათვის, მისი ფუნქციების მნიშვნელოვნად ზრდის პირობებში 2017 წელს საბიუჯეტო დაფინანსების შემცირება 900 ათასი ლარით მიმდინარე წელთან შედარებით, მითუმეტეს, რომ იურიდიული დახმარების საბჭოს თანხმობის გარეშე ასეთი შემცირება ეწინააღმდეგება „საბიუჯეტო კოდექსის“ 44-ე მუხლსა და „იურიდიული დახმარების შესახებ კანონის“ 22¹ მუხლს, საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის 2015 წელს დადებულ შეთანხმებას საბიუჯეტო დახმარების პროგრამის თაობაზე.</p>	<p>გათვალისწინებულია - სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუჯეტი განისაზღვრა 5.8 მლნ ლარით</p>
<p>რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო</p>	
<p>25 02 02 10 - ქ. სტეფანწმინდა-სამების ეკლესია საავტომობილო გზის კმ1-კმ6 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა 2016 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 4 000.0 ათას ლარს, 2017 წლისთვის მოთხოვნილია - 8 000.0 ათას ლარს, გათვალისწინებულია 0 ლარი.</p>	<p>გათვალისწინებულია</p>
<p>საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი</p>	
<p>2017 წელს საქართველოში იმართება არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიება (მსოფლიო ჩემპიონატი რაგბში, ხელბურთში, ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში და სხვა), რომლის ბიუჯეტი მინიმუმ 6 მლნ ლარით უნდა გაიზარდოს.</p>	<p>არსებული ფისკალური რესურსის გათვალისწინებით სამინისტროს ბიუჯეტისათვის დამატებით მობილიზებულ იქნა 38,5 მლნ ლარი.</p>
<p>სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში აღებული ვალდებულების თანახმად 2017 წელს გასაწევი ხარჯი შეადგენს 31 მლნ-მდე ლარს, ხოლო ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 23.6 მლნ ლარი, ვალუტის კურსის ცვალებადობიდან გამომდინარე და ასევე ინვენტარის განახლების პროგრამის ფარგლებში დასამატებელია მინიმუმ 10 მლნ ლარი.</p>	<p>ამასთან, არსებული მაკრო-ფისკალური ჩარჩოს გათვალისწინებით და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის საჭირო რესურსების მობილიზების მიზნით საქართველოს მთავრობა ახორციელებს ადმინისტრაციული ტიპის ხარჯების შემცირებას (მიმდინარე წლის საპროგნოზო მაჩვენებლის 10%-ით). პროგრამების დიდი ნაწილი შენარჩუნებულია მიმდინარე წლის პარამეტრებში, რის გამოც დამატებითი რესურსების გამოყოფა ყველა არსებული მოთხოვნის დასაფინანსებლად შეუძლებელია.</p>
<p>2016 წელს ამოიწურა რაგბის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა. 2017 წლიდან წარმოდგენილი ახალი პროგრამა ითვალისწინებს დაფინანსების გაზრდას, რომელიც წარმოდგენილ ბიუჯეტში ასახულია ძველი პარამეტრებით.</p>	
<p>შემცირებულია (განახევრებულია) ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსება, რომელიც 2017 წლის ბიუჯეტით უნდა შეადგენდეს 4.5 მლნ ლარს.</p>	
<p>3.2 მლნ ლარით შემცირებულია სპორტულ სახეობათა განვითარების პროგრამა, რომელიც მინიმუმ 2016 წლის პარამეტრებზე უნდა დარჩეს.</p>	
<p>რეკომენდაცია მიეცეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2017 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის დაფინანსების გაზრდის საკითხები.</p>	

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული პროგრამების და ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ასიგნებები განსაზღვრულია 98,275.0 მლნ ლარის ოდენობით. კომიტეტი მიესალმება ბიუჯეტის გაზრდას, მაგრამ მიიჩნევს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი და ასევე სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე ბიუჯეტი დამატებით უნდა გაიზარდოს 35 მლნ ლარით, რათა შესაძლებელი გახდეს 2017 წელს დაგეგმილი ღონისძიებების სრულფასოვნად განხორციელება.</p>	